რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
2001 წლის 2 მარტის N 769 დადგენილებით

კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ (CMS)

შეთანხმება შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვის და მიმდებარე ატლანტის ოკეანეს მცირე ვეშაპისებრთა დაცვის შესახებ

ნოემბერი, 1996

UNEP/CMS სამდივნო
გაერო-ს რეზიდენცია ბონში
მარტინ-ლუთერ კინგი, 8
D – 53175 ბონი, გერმანია

მხარეები,

ითვალისწინებენ რა ველურ ცხოველთა მიგრირებადი სახეობების დაცვის კონვენციას, 1979, რომელიც მხარს უჭერს საერთაშორისო თანამშრომლობას მიგრირებადი სახეობების დაცვის სფეროში;

ითვალისწინებენ რა, რომ კონვენციის მხარეთა მესამე შეხვედრაზე, რომელიც შედგა 1991 წლის სექტემბერში (ჟენევა), კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება რაც შეიძლება სწრაფად შემუშავდეს კონვენციის ეგიდით მრავალმხრივი შეთანხმება შავი და ხმელთაშუა ზღვის მცირე ვეშაპისებრთა დაცვაზე;

ითვალისწინებენ რა, რომ ვეშაპისებრები წარმოადგენენ ზღვის ერთიანი ეკოსისტემის შემადგენელ ნაწილს, რომელიც უნდა იყოს დაცული ეხლანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ, და რომ ეს წარმოადგენს საერთო საზრუნავს;

ითვალისწინებენ რა ვეშაპისებრთა დაცვის სფეროში ერთობლივი მოქმედებების განხორციელების მნიშვნელობას ისეთი საქმიანობის პარალელურად, რომელიც დაკავშირებულია ამ შეთანხმების მონაწილე ქვეყნების სოციო-ეკონომიკურ განვითარებასთან, ისეთი საზღვაო საქმიანობების ჩათვლით, როგორიც არის თევზჭერა და ხომალდების საერთაშორისო კანონმდებლობასთან შეთანხმებული მოძრაობა;

ითვალისწინებენ რა, რომ ვეშაპისებრთა საკონსერვაციო სტატუსზე არასასურველი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორი არის

მათი საარსებო სივრცის (ჰაბიტატის) დეგრადაცია ან დაზიანება, დაბინძურება, საკვები რესურსების შემცირება, თევზსაჭერი მოწყობილობების გამოყენება და მიტოვება და წინასწარ გამიზნული და შემთხვევითი ჭერა;

დარწმუნებულნი არიან რა, რომ ვეშაპისებრთა ასეთი სენსიტიურობა ამ ფაქტორების მიმართ მოითხოვს განსაკუთრებული საკონსერვაციო ზომების განხორციელებას, სადაც ისინი ჯერ მიღებული არ არის იმ ქვეყნებისა ან რეგიონალური ეკონომიური ორგანიზაციების მიერ, რომელთა სუვერენიტეტი და/ან იურისდიქცია ვრცელდება სამიგრაციო არეალის რომელიმე ნაწილზე, და იმ ქვეყნების მიერ, რომელთა ხომალდებიც დაცურავენ ეროვნული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ და რომელთა ქმედებებმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ ვეშაპისებრთა დაცვაზე;

აღნიშნავენ რა თანამშრომლობის ხელისშეწყობისა და გაადვილების საჭიროებას სხვადასხვა ქვეყნებს, რეგიონალურ ეკონომიკურ ინტეგრაციულ ორგანიზაციებს, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებსა და არასამთავრობო სექტორებს შორის – შავი, ხმელთაშუა ზღვის, ამ ზღვების დამაკავშირებელი წყლებისა და ატლანტიკის მიმდებარე ტერიტორიის ვეშაპისებრთა დაცვისათვის;

დარწმუნებულნი არიან რა, რომ მრავალმხრივი შეთანხმება და მისი კოორდინირებული, შეთანხმებული განხორციელება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ვეშაპისებრთა და მათი ჰაბიტატის დაცვაში საუკეთესო და ეფექტური გზით და გარდა ამისა დიდ სარგებელს მოუტანს სხვა სახეობებს;

გაცნობიერებული აქვთ რა, რომ მიუხედავად ჩატარებული ან მიმდინარე სამეცნიერო კვლევებისა, საკმარისად არ არის შესწავლილი ვეშაპისებრთა ბიოლოგია, ეკოლოგიური პოპულაციების დინამიკა და რომ აუცილებელია ამ სახეობების კვლევისა და მონიტორინგის ერთობლივი განვითარება საკონსერვაციო ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელებისათვის;

გაცნობიერებული აქვთ რა, რომ ასეთი შეთანხმების ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო იქნება გარკვეული დახმარება, სოლიდარობის გაწევა არეალის ზოგიერთი ქვეყნისათვის ვეშაპისებრთა და მათი ჰაბიტატების კვლევის, მონიტორინგის და ტრენინგისათვის, აგრეთვე სამეცნიერო და ადმინისტრაციული დაწესებულებების დაფუძნებისათვის ან მათი გაუმჯობესებისათვის;

ითვალისწინებენ რა ვეშაპისებრთა დაცვისათვის შესაბამისი სხვა გლობალური და რეგიონალური ინსტრუმენტების მნიშვნელობას, ხელმოწერილს მრავალი მხარის მიერ, ისეთებს, როგორიც არის საერთაშორისო კონვენცია ვეშაპების რეწვის რეგულირებაზე, 1946; კონვენცია ხმელთაშუა ზღვის დაბინძურებისაგან დაცვაზე, 1976, მისი შესაბამისი პროტოკოლები და მოქმედებათა გეგმა ხმელთაშუა ზღვის ვეშაპისებრთა დაცვაზე, რომელიც მიღებული იყო მისი ეგიდით 1991 წელს; კონვენცია ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვაზე, 1979; გაეროს კონვენცია საზღვაო კანონმდებლობაზე, 1982; კონვენცია ბიომრავალფეროვნების დაცვაზე; 1992; კონვენცია შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვაზე, 1992; გაერო-ს გარემოსდაცვითი პროგრამის მიერ მიღებული ზღვის ძუძუმწოვრების მართვის,

სარგებლობის, და დაცვისათვის მოქმედებათა გლობალური გეგმა, 1984 წელი; აგრეთვე ინიციატივები ხმელთაშუა ზღვაში, inter alia, თევზჭერის გენერალური საბჭო ხმელთაშუა ზღვისათვის, ხმელთაშუა ზღვის სამეცნიერო კვლევის საერთაშორისო კომისია, და ატლანტური თინუსის დაცვის საერთაშორისო კომისია,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი I
მოქმედების სფერო, განმარტებები და განსაზღვრებები

1. ა) ამ შეთანხმების გეოგრაფიული სფერო, შემდგომში „შეთანხმების არეალი“, წარმოადგენს ხმელთაშუა და შავი ზღვის წყლებს, მათი ზღვებისა და ყურეების ჩათვლით, შიდა წყლებს, რომლებიც დაკავშირებული არიან მათთან, ან აკავშირებენ ზემოთნახსენებ ზღვებს, და ხმელთაშუა ზღვასთან მიმდებარე წყლებს გიბრალტარის სრუტის დასავლეთით. წინამდებარე შეთანხმებაში:

- შავი ზღვა შემოიფარგლება სამხრეთ-დასავლეთით ხაზით, რომელიც გაივლება კელაგასა და დალიანის კონცხებს შორის (თურქეთი);

- ხმელთაშუა ზღვა შემოისაზღვრება აღმოსავლეთით დარდანელის სრუტის სამხრეთი საზღვრით მეჰმეტციკის და კუმკალეს შუქურებს შორის გავლებული ხაზით (თურქეთი) და დასავლეთით – მერიდიანით, რომელიც გადის კონცხს სპარტელის შუქურაზე, გიბრალტარის სრუტის დასაწყისთან; და

- ატლანტიკის მიმდებარე არე გიბრალტარის სრუტის დასავლეთით შემოისაზღვრება: აღმოსავლეთით მერიდიანით, რომელიც გადის კონცხ სპარტელის შუქურაზე და დასავლეთით კი ხაზით, რომელიც აერთებს შუქურებს სენტ-ვისენტის (პორტუგალია) და კასაბლანკას კონცხებზე (მაროკო).

ბ) ამ შეთანხმების არცერთი პირობა, არც რომელიმე კანონი, მიღებული ამ შეთანხმების საფუძველზე, არ მოახდენს ზემოქმედებას რომელიმე ქვეყნის უფლებებზე ან მოვალეობებზე, ქვეყნების აწმყო და მომავალი პრეტენზიების წაყენების უფლებაზე, ან კანონმდებლობაზე იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც კავშირშია საზღვაო კანონთან ან მონროს კონვენციასთან (Montreux Convention) (Convention concernant le regime des detroits 20 ივლისი, 1936 წელი), კერძოდ საზღვაო ტერიტორიების ბუნებას და ფარგლებზე, მოპირდაპირე ან მიმდებარე სანაპირო ქვეყნებს შორის საზღვო ტერიტორიების დადგენაზე, ღია ზღვაში ნავიგაციის თავისუფლებაზე, საერთაშორისო ნავიგაციის მნიშვნელობის მქონე სრუტეებში თავისუფალ გავლაზე, აგრეთვე სანაპირო ქვეყნის იურისდიქციის ბუნებაზე და ფარგლებზე, flag State and port State.

2. ეს შეთანხმება შეეხება ყველა ვეშაპისებრს, რომელთა სამიგრაციო არეალი მთლიანად ან ნაწილობრივ მდებარეობს შეთანხმების არეალში, ან რომლებიც შემთხვევით ან დროდადრო შეიძლება მოხვდნენ შეთანხმების არეალში, და რომლებიც ჩამოთვლილია ამ შეთანხმების I დანართში.

3. ამ შეთანხმებაში:

ა) „ვეშაპისებრები“ ნიშნავს ცხოველებს, ინდივიდების ჩათვლით, რომლებიც მიეკუთვნება Odontoceti ან Mysticeti – ს სახეობებს, ქვესახეობებს ან პოპულაციებს;

ბ) „კონვენცია“ ნიშნავს „ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის კონვენციას“, 1979;

გ) „კონვენციის სამდივნო“ ნიშნავს ორგანოს, დაარსებულს ამ კონვენციის IX მუხლის თანახმად.

დ) „შეთანხმების სამდივნო“ ნიშნავს ორგანოს, დაფუძნებულს ამ შეთანხმების III მუხლის &7-ის თანახმად.

ე) „სამეცნიერო კომიტეტი“ ნიშნავს ორგანოს, დაფუძნებულს ამ შეთანხმების III მუხლის &7-ის თანახმად;

ვ) „სამიგრაციო არეალი“ ნიშნავს წყლის ყველა არეს, სადაც ვეშაპირსებრნი ბინადრობენ, დროებით ჩერდებიან ან გადაკვეთენ მას ნებისმიერ დროს თავის ნორმალურ სამიგრაციო გზაზე შეთანხმების არეალის ფარგლებში.

ზ) „სამიგრაციო არეალის ქვეყანა“ ნიშნავს ნებისმიერ ქვეყანას, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ვეშაპისებრთა პოპულაციის სამიგრაციო არეალის თუნდაც ცალკეულ ნაწილზე, რომელიც შედის ამ შეთანხმების ფარგლებში, ან ქვეყანას, რომლის ხომალდებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ვეშაპისებრთა დაცვაზე;

თ) „რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციული ორგანიზაცია“ ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც შეიქმნა სუვერენული სახელმწიფოების მიერ და გააჩნია საერთაშორისო შეთანხმებებზე მოლაპარაკების, შეთანხმების დადების და მისი ამოქმედების კომპეტენცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც ეს შეთანხმება ეხება;

ი) „მხარე“ ნიშნავს სამიგრაციო არეალის ქვეყანას, ან რეგიონალურ ეკონომიკურ ინტეგრაციულ ორგანიზაციას, რომელთათვისაც ეს შეთანხმება ძალაშია;

ე) „სუბრეგიონი“ კერძო კონტექსტში ნიშნავს ან რეგიონს, რომელიც მოიცავს შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებს, ან ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქვეყნებს და ატლანტიკის მიმდებარე არეს; ამ შეთანხმებაში ქვეყნის კერძო სუბრეგიონის ნებისმიერი მოხსენიება გულისხმობს ქვეყნებს, რომელთა ტერიტორიული წყლების რომელიმე ნაწილი შედის ამ სუბრეგიონის ფარგლებში, და ქვეყნებს, რომელთა ხომალდებიც ისეთ საქმიანობას ეწევიან, რომელმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს ვეშაპისებრთა დაცვაზე ამ რეგიონში; და

ვ) „ჰაბიტატი“ ნიშნავს ვეშაპისებრთა სამიგრაციო არეალის ნებისმიერ ნაწილს,

სადაც ვეშაპისებრები მუდმივად ან დროებით ბინადრობენ, კერძოდ, საკვებ და მშობიარობის ადგილებს და სამიგრაციო გზებს.

გარდა ამისა, ტერმინებს, განმარტებულს კონვენციის 1 მუხლის ქვეპარაგრაფებში ა)-დან ე)-მდე და ი), ექნება იგივე მნიშვნელობა, mutatis mutandis (შესაბამისი ცვლილებებით).

4. ეს შეთანხმება წარმოადგენს შეთანხმებას, რომელიც შესაბამისობაში იმყოფება კონვენციის IV მუხლის &4-ში მოცემულ განმარტებასთან.

5. ამ შეთანხმების დანართი წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს და ნებისმიერი მოხსენება თუ შენიშვნა, გაკეთებული შეთანხმებაზე, ეხება მის დანართებსაც.

მუხლი II
მიზანი და საკონსერვაციო ღონისძიებები

1. მხარეები განახორციელებენ კოორდინირებულ ღონისძიებებს ვეშაპისებრთა სასურველი საკონსერვაციო სტატუსის მისაღწევად და შესანარჩუნებლად. ამისათვის, მხარეები აკრძალავენ ან, თუ ეს უკვე გაკეთებული არ არის, მიიღებენ ყველა საჭირო ზომას, რათა გამორიცხონ ვეშაპისებრთა ნებისმიერი წინასწარ გამიზნული ჭერა და ითანამშრომლებენ ვეშაპისებრთა დაცვისათვის მიზნობრივი დაცული ტერიტორიების ქსელის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად.

2. ყველა მხარეს შეუძლია დაუშვას გამონაკლისი აკრძალვებიდან, რომლებიც ჩამოთვლილია წინა პარაგრაფში, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორც ეს გათვალისწინებულია დანართი 2-ის &6-ით, სამეცნიერო კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ, და მხოლოდ არალეტელური in situ კვლევების ჩასატარებლად, რომელთა მიზანი იქნება ვეშაპისებრთა სასურველი საკონსერვაციო სტატუსის შენარჩუნება. შესაბამისი მხარე, შეთანხმების სამდივნოს მეშვეობით დაუყოვნებლივ შეატყობინებს ბიუროს და სამეცნიერო კომიტეტს ყველა დაშვებული გამონაკლისის შესახებ. შეთანხმების სამდივნო კი თავის მხრივ დაუყოვნებლივ შეატყობინებს ყველა მხარეს დაშვებული გამონაკლისების შესახებ ყველაზე მიზანშეწონილი გზით.

3. გარდა ამისა, თავისი სუვერენიტეტის და/ან იურისდიქციის ფარგლებში და საერთაშორისო ვალდებულებებთან შეთანხმებაში, მხარეები განახორციელებენ ვეშაპისებრთა საკონსერვაციო, კვლევით და სამენეჯმენტო ღონისძიებებს, აღწერილს ამ შეთანხმების დანართში 2, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) ეროვნული კანონმდებლობის მიღება და ძალაში გატარება;

ბ) ადამიანისა და ვეშაპისებრთა ურთიერთობის შეფასება და მენეჯმენტი;

გ) ჰაბიტატის დაცვა;

დ) კვლევა და მონიტორინგი;

ე) შესაძლებლობათა განვითარება, ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება, ტრენინგი და განათლება, და

ვ) საგანგებო ვითარებებში საპასუხო ზომები.

თევზჭერასთან დაკავშირებული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ყველა წყლებში, სადაც ვრცელდება მათი სუვერენიტეტი და/ან იურისდიქცია და ამ წყლებს გარეთაც, იმ შემთხვევაში, თუ მათი ხომალდები დაცურავს ან რეგისტრირებულ იქნება აღნიშნული ტერიტორიის ფარგლებში.

4. ზემოთ აღნიშნული ზომების განხორციელებისას, მხარეები გამოიყენებენ წინასწარი გაფრთხილების პრინციპს (precautionary principle).

მუხლი III
მხარეთა შეხვედრა

1. მხარეთა შეხვედრა იქნება ამ შეთანხმების გადაწყვეტილების მიმღები ორგანო.

2. დეპოზიტარი, კონვენციის სამდივნოსთან კონსულტაციის შემდეგ მოიწვევს ამ შეთანხმების მხარეთა შეხვედრის სესიას არაუგვიანეს ერთი წლისა მისი ძალაში შესვლიდან. ამის შემდეგ, შეთანხმების სამდივნო კონვენციის სამდივნოსთან კონსულტაციის შემდეგ მოიწვევს მხარეთა შეხვედრის რიგით სესიებს არა უმეტეს სამი წლის ინტერვალებით, თუ კი მხარეთა შეხვედრა სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

3. შეთანხმების სამდივნო მოიწვევს მხარეთა შეხვედრის რიგგარეშე სესიას მხარეთა არანაკლებ ორი მესამედის მიერ წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

4. გაერო, მისი სპეციალიზირებული სააგენტოები, საერთაშორისო ატომური ენერგეტიკის სააგენტო, ქვეყნები, რომლებიც არ არიან ამ შეთანხმების მხარეები, სხვა გლობალური და რეგიონალური კონვენციების ან შეთანხმებების სამდივნოები, რომლებიც , inter alia, ჩართულნი არიან ვეშაპისებრთა დაცვაში, და რეგიონალური და სუბრეგიონალური თევზჭერის მენეჯმენტის ორგანიზაციები, რომელთა კომპეტენციაშიც შედის შეთანხმების არეში აღმოჩენილი დროებით ან მუდმივად მობინადრე სახეობები, შესაძლოა დაესწრონ მხარეთა შეხვედრას დამკვირვებლის სტატუსით. ვეშაპისებრთა დაცვაში ტექნიკური კვალიფიკაციის მქონე ნებისმიერი სხვა სააგენტო ან ორგანო, შესაძლებელია დაესწროს მხარეთა შეხვედრის სესიას, თუ კი მხარეთა ერთი მესამედი მაინც არ იქნება წინააღმდეგი. მხარეთა შეხვედრის სესიაზე ერთხელ დასწრების შემდეგ, დამკვირვებელი შემდგომაც იქნება დასახელებული სესიებში მონაწილეობის მისაღებად, თუ კი მხარეთა ერთი მესამედი მაინც არ წარადგენს პროტესტს სესიის დაწყებამდე არანაკლებ 30 დღით ადრე.

5. კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ მხარეებს. ყოველ მხარეს აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება, მაგრამ რეგიონალურ ეკონომიკურ ინტეგრაციულ ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენენ შეთანხმების მხარეებს, მათ კომპეტენციაში

მყოფ საკითხებთან დაკავშირებით, შეუძლიათ გამოიყენონ უფლება მისცენ ხმა იმდენჯერ, რამდენ წევრ ქვეყანასაც აერთიანებენ, რომლებიც წარმოადგენ შეთანხმების მხარეებს. რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციული ორგანიზაციები არ გამოიყენებენ ასეთ უფლებას, თუ მისი წევრი ქვეყნები გამოიყენებენ თავისას და პირიქით.

6.მხარეთა შეხვედრის ყველა გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსის გზით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ შეთანხმების X მუხლით. თუ კონსენსუსის მიღწევა შეუძლებელი გახდება ამ შეთანხმების დანართებში მოცემულ საკითხებზე, გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნას დამსწრე და კენჭის ყრაში მონაწილე მხარეთა 2/3 უმრავლესობის მიერ. კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეატყობინოს დეპოზიტარს ამ გადაწყვეტილების არ შესრულების განზრახვის შესახებ 150 დღის განმავლობაში.

7. მხარეთა შეხვედრა თავის პირველ სესიაზე:

ა) მიიღებს პროცედურულ წესებს;

ბ) დააფუძნებს შეთანხმების სამდივნოს ამ შეთანხმების IV მუხლში ჩამოთვლილი ფუნქციების შესასრულებლად;

გ) ყოველ სუბრეგიონში, არსებული ინსტიტუტების ჩარჩოებში, შექმნის საკოორდინაციო ერთეულს, ამ შეთანხმების დანართში 2 აღწერილი ზომების განხორციელების გასაადვილებლად;

დ) აირჩევს ბიუროს, როგორც ეს გათვალისწინებულია VI მუხლით; და

ე) შექმნის სამეცნიერო კომიტეტს VII მუხლის დებულების თანახმად;

ვ) მიიღებს გადაწყვეტილებას შეთანხმების განხორციელებაზე მხარეთა ანგარიშების შინაარსისა და მოცულობის (ფორმის) შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია VII მუხლით.

8. ყოველ რიგით სესიაზე, მხარეთა შეხვედრა:

ა) განიხილავს შეთანხმების არეში ვეშაპისებრთა საკონსერვაციო სტატუსის სამეცნიერო შეფასება შეთანხმების არეალში და ჰაბიტატებს, მნიშვნელოვანს მათი გადარჩენისათვის, აგრეთვე ფაქტორებს, რომლებმაც მათზე შეიძლება არსასურველი ზეგავლენა იქონიონ.

ბ) განიხილავს მიღწეულ შედეგებს და არსებულ სიძნელეებს ამ შეთანხმების განხორციელებაში შეთანხმების სამდივნოს და მხარეებს ანგარიშების საფუძველზე;

გ) გაუწევს კონსულტაციებს მხარეებს, თუ ეს ჩაითვლება აუცილებლად ან საჭიროდ და დაისახავს გარკვეულ ქმედებებს შეთანხმების ეფექტურობის გასაძლიერებლად;

დ) საჭიროების შემთხვევაში შეისწავლის და მიიღებს გადაწყვეტილებებს ამ შეთანხმებისათვის შემოთავაზებული შესწორებების თაობაზე;

ე) მიიღებს ბიუჯეტს შემდეგი საფინანსო პერიოდისათვის და გადაწყვეტილებებს ამ შეთანხმების ნებისმიერი ფინანსური საკითხის მოსაგვარებლად;

ვ) მიმოიხილავს შეთანხმების სამდივნოს, საკოორდინაციო ერთეულების და სამეცნიერო კომიტეტის საორგანიზაციო საკითხებს;

ზ) მიიღებს ანგარიშს შეთანხმების მხარეთათვის და კონვენციის მხარეთა კონფერენციისათვის წარსადგენად;

თ) შეათანხმებს შემდეგი შეხვედრის სავარაუდო დროსა და ადგილს; და

ი) აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა საკითხებზე ამ შეთანხების განხორციელებისათვის;

მუხლი IV
შეთანხმების სამდივნო

1. ვინაიდან ამ შეთანხმების სამდივნო საჭიროებს კონვენციის მხარეთა კონფერენციაზე დამტკიცებას, იგი შეიქმნება კონვენციის სამდივნო ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ კონვენციის სამდივნო ვერ შესძლებს რაიმე დროის განმავლობაში ამ ფუნქციის შესრულებას, მხარეთა შეხვედრა იზრუნებს ალტერნატიულ გამოსავალზე.

2. შეთანხმების სამდივნოს ფუნქციები იქნება

ა) მხარეთა შეხვედრის სესიების მოწყობა და მომსახურება;

ბ) კავშირების დამყარება და თანამშრომლობის გაადვილება სამიგრაციო არეალის ქვეყნებსა (მიუხედავად იმისა, წარმოადგენენ ისინი მხარეებს თუ არა) და საერთაშორისო და სახელმწიფო ორგანოებს შორის, რომელთა საქმიანობა პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ვეშაპისებრთა დაცვას შეთანხმების არეალში.

გ) შეთანხმების განხორციელების მიზნით მხარეებისათვის დახმარების აღმოჩენა, რაც გამოიხატება სუბრეგიონებს შორის შეთანხმებულობის უზრუნველყოფაში და სხვა საერთაშორისო მოქმედი ინსტრუმენტებით დამტკიცებულ ზომებთან შეთანხმებულობის მიღწევაში;

დ) გადაწყვეტილებების განხორციელება, რომლებსაც მას დაავალებს მხარეთა შეხვედრა;

ე) მხარეთა შეხვედრის ყურადღების მიპყრობა იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება ამ შეთანხმებას;

ვ) მხარეთა შეხვედრის ყველა რიგითი სესიის ანგარიშით უზრუნველყოფა შეთანხმების სამდივნოს, საკოორდინაციო ერთეულების, ბიუროს და სამეცნიერო კომიტეტის მუშაობის შესახებ, და შეთანხმების განხორციელების შესახებ, რომელიც ეფუძნება ინფორმაციას, მოწოდებულს მხარეების მიერ და მიღებულს აგრეთვე სხვა წყაროებიდან;

ზ) ამ შეთანხმების ბიუჯეტის წარმართვა;

თ) უზრუნველყოს საზოგადოება ინფორმაციით ამ შეთანხმებაზე და მისი მიზნების შესახებ; და

ი) შეასრულოს სხვა ფუნქციები, რომლებიც მას დაევალება ამ შეთანხმების თანახმად ან მხარეთა შეხვედრის მიერ.

3. შეთანხმების სამდივნო, სამეცნიერო კომიტეტთან და საკოორდინაციო ერთეულებთან კონსულტაციით, ხელს შეუწყობს დირექტივების (guidelines) მომზადებას, რომლებიც inter alia, მოიცავს:

ა) ადამიანი-ვეშაპისებრთა საზიანო ურთიერთქმედების მაქსიმალურად შესაძლებელ შემცირებას ან აღკვეთას;

ბ) ჰაბიტატების დაცვას და ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტის მეთოდებს, რამდენადაც ეს დაკავშირებულია იქნება ვეშაპისებრებთან;

გ) საგანგებო ზომებს; და

დ) პირველად დახმარებას და გადარჩენის მეთოდებს.

მუხლი V
საკოორდინაციო ერთეულები

1. სუბრეგიონალური საკოორდინაციო ერთეულის ფუნქციები იქნება:

ა) ხელი შეუწყოს ამ შეთანხმების დანართი 2-ით გათვალისწინებულ მოქმედებათა განხორციელებას შესაბამის სუბრეგიონებში, მხარეთა შეხვედრის ინსტრუქციების თანახმად;

ბ) შეაგროვოს და შეაფასოს ინფორმაცია, რომელიც შემდგომ ხელს შეუწყობს ამ შეთანხმების მიზნების განსაზღვრას და მის განხორციელებას და უზრუნველჰყოს ამ ინფორმაციის გავრცელება;

გ) მოემსახუროს სამეცნიერო კომიტეტის შეხვედრებს და მოამზადოს მოხსენება მხარეთა შეხვედრისათვის წარსადგენად შეთანხმების სამდივნოს მეშვეობით.

საკოორდინაციო ერთეულების დანიშნულება და მათი ფუნქციები განიხილება საჭიროებისამებრ მხარეთა შეხვედრის ყოველ სესიაზე.

2. ყოველი საკოორდინაციო ერთეული, სამეცნიერო კომიტეტთან და შეთანხმების სამდივნოსთან კონსულტაციით, ხელს შეუწყობს საერთაშორისო მიმოხილვებისა და პუბლიკაციების სერიების მომზადებას, რომლებიც რეგულარულად განახლდება, ამასთან:

ა) ანგარიშების მომზადებას პოპულაციების სტატუსისა და ტენდენციის შესახებ, აგრეთვე სამეცნიერო ინფორმაციის დეფიციტის შევსებას;

ბ) ვეშაპისებრთათვის მნიშვნელოვანი არეების სუბრეგიონალური ცნობარის მომზადებას;

გ) ვეშაპისებრთა დაცვაში ჩართული სახელმწიფო ორგანოების, კვლევითი და დაცვითი ცენტრების, სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციების სუბრეგიონალური ცნობარის მომზადებას.

მუხლი VI
ბიურო

1. მხარეთა შეხვედრა აირჩევს ბიუროს, რომელშიც შევლენ მხარეთა შეხვედრის თავმჯდომარე და ვიცე-თავმჯდომარეები და მიიღებს პროცედურულ წესებს ბიუროსათვის, შეთანხმების სამდივნოს შემოთავაზების თანახმად. სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარე იქნება მიწვეული დამკვირვებლად ბიუროს შეხვედრებზე. საჭიროების შემთხვევაში, შეთანხმების სამდივნო გასწევს სამდივნოს ფუნქციებს.

2. ბიურო:

ა) უზრუნველყოს ზოგადი პოლიტიკის წარმართვას და სამოქმედო და ფინანსურ მიმართულებებს შეთანხმების სამდივნოსათვის და საკოორდინაციო ერთეულებისათვის ამ შეთანხმების განხორციელების და ხელშეწყობის მიზნით;

ბ) მხარეთა შეხვედრის სესიებს შორის თავისი სახელით განახორციელებს ისეთ საქმიანობას, რაც საჭიროდ ჩაითვლება, ან დაევალება მას მხარეთა შეხვედრის მიერ; და

გ) იქნება მხარეთა წარმომადგენელი vis-a-vis შეთანხმების სამდივნოს და მხარეთა შეხვედრის მასპინძელი ქვეყნის(ების) მთავრობასთან(ებთან), დეპოზიტართან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ამ შეთანხმებას და მის სამდივნოს.

მუხლი VII
სამეცნიერო კომიტეტი

1. სამეცნიერო კომიტეტი, უნდა აერთიანებდეს კვალიფიციურ ექსპერტებს ვეშაპისებრთა დაცვის სამეცნიერო სფეროში და იქნება დაფუძნებული, როგორც მხარეთა შეხვედრის საკონსულტაციო ორგანო. მხარეთა შეხვედრა დააკისრებს სამეცნიერო კომიტეტის ფუნქციებს შეთანხმების არეალში უკვე არსებულ ორგანიზაციებს, რაც უზრუნველყოფს წარმომადგენელთა გეოგრაფიულ ბალანსს.

2. სამეცნიერო კომიტეტის შეხვედრები მოწვეული იქნება შეთანხმების სამდივნოს მიერ მხარეთა შეხვედრის მოთხოვნის საფუძველზე.

3. სამეცნიერო კომიტეტი:

ა) უზრუნველყოფს მხარეთა შეხვედრებს კონსულტაციებით სამეცნიერო, ტექნიკურ და საკანონმდებლო სფეროებში, შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებით და აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში სესიებს შორის გაუწევს კონსულტაციებს ცალკეულ მხარეებს შესაბამისი სუბრეგიონის საკოორდინაციო ერთეულის საშუალებით;

ბ) ჩაატარებს კონსულტაციებს სახელმძღვანელო პრინციპების (guidelines) ჩამოსაყალიბებლად, როგორც ეს გათვალისწინებულია IV მუხლის პარაგრაფ 3-ით, შაფასებს მიმოხილვებს, მომზადებულს ამ შეთანხმების დანართი 2-ის თანახმად და ჩამოაყალიბებს რეკომენდაციებს მხარეთა შეხვედრისათვის მომავალში კვლევების ჩატარების შესახებ;

გ) აწარმოებს ვეშაპისებრთა პოპულაციების საკონსერვაციო სტატუსის სამეცნიერო შეფასებას;

დ) მისცემს რჩევებს საერთაშორისო კვლევების და მონიტორინგის პროგრამების განვითარებისათვის და კოორდინირებისათვის, და რეკომენდაციებს მხარეთა შეხვედრისათვის მომავალში კვლევების ჩასატარებლად;

ე) ხელს შეუწყობს სამეცნიერო ინფორმაციის და კონსერვაციის სფეროში ტექნიკური საკითხების (techigues) გაცვლას;

ვ) მოამზადებს მხარეთა შეხვედრის ყოველი სესიისათვის ანგარიშს ჩატარებული საქმიანობის შესახებ, რომელიც უნდა წარედგინოს შეთანხმების სამდივნოს არანაკლებ 120 დღით ადრე მხარეთა შეხვედრის სესიის დაწყებამდე და მიეწოდოს ყველა მხარეს შეთანხმების სამდივნოს მიერ;

ზ) უზრუნველყოფს დროულ რჩევებს გამონაკლისებზე, რომლებზეც მას შეატყობინებენ II მუხლის &2-ის თანახმად; და

თ) განახორციელებს სხვა საქმიანობას, რასაც მას დაავალებს მხარეთა შეხვედრა.

4. სამეცნიერო კომიტეტს, შესაბამის საკოორდინაციო ერთეულებთან და ბიუროსთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია შექმნას სამუშაო ჯგუფები, თუ კი ეს საჭირო იქნება რაიმე კერძო ამოცანის გადასაწყვეტად. მხარეთა შეხვედრამ უნდა შეათანხმოს

ფიქსირებული ბიუჯეტი ამ მიზნებისათვის.

მუხლი VIII
მოხსენებები და ანგარიშები

ყოველი მხარე:

ა) შეარჩევს ამ შეთანხმებისათვის საკონტაქტო პირს (focal point) და დაუყოვნებლივ აცნობებს შეთანხმების სამდივნოს მის გვარს, მისამართს და ტელესაკომუნიკაციო ნომრებს, რათა შეთანხმების სამდივნომ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ეს ინფორმაცია სხვა მხარეებს და საკოორდინაციო ერთეულებს; და

ბ) მხარეთა შეხვედრის ყოველი რიგითი სესიისათვის, დაწყებული მეორე სესიიდან, მოამზადებს ანგარიშს შეთანხმების განხორციელებაზე, კერძოდ იმაზე, თუ რა ღონისძიებები იქნა ჩატარებული კონსერვაციის თვალსაზრისით, სამეცნიერო კვლევების და მონიტორინგის სფეროში. ასეთი მოხსენებების სტანდარტი დადგენილი იქნება მხარეთა შეხვედრის პირველი სესიის მიერ და გადახდილ იქნება საჭიროებისამებრ ნებისმიერ მომდევნო სესიაზე ყოველი მოხსენება უნდა წარედგინოს შეთანხმების სამდივნოს არანაკლებ 120 დღით ადრე მხარეთა შეხვედრის სესიის გახსნამდე, რომლისთვისაც ის მომზადდა, ხოლო ასლები შეთანხმების სამდივნომ უნდა გაუგზავნოს სხვა მხარეებს.

მუხლი IX
ფინანსური საკითხები

1. შეთანხმების ბიუჯეტში შესატანების სკალა განისაზღვრება მხარეთა შეხვედრის პირველ სესიაზე. არცერთ რეგიონალურ ეკონომიკურ ინტეგრაციულ ორგანიზაციას არ მოეთხოვება შესატანი, რომლის ოდენობაც იქნება ადმინისტრაციული ხარჯების 2,5%-ზე მეტი.

2. გადაწყვეტილებები ბიუჯეტის თაობაზე და რაიმე ცვლილებების შესახებ შესატანების სკალაში, თუ კი აუცილებლად ჩაითვლება, უნდა იქნას მიღებული მხარეთა შეხვედრის მიერ კონსენსუსის გზით.

3. მხარეთა შეხვედრას შეუძლია დააფუძნოს დამატებითი საკონსერვაციო ფონდი მხარეთა ნებაყოფლობითი შესატანების ხარჯზე ან გამოიყენოს რაიმე სხვა წყაროები ვეშაპისებრთა საკონსერვაციო პროექტებისათვის, ტრენინგებისათვის, კვლევისა და მონიტორინგისათვის უკვე არსებული ფონდების გასაძლიერებლად.

4. მხარეები აგრეთვე ბილატერალურ ან მულტილატერალურ საფუძველზე გაუწევენ ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას სამიგრაციო არეალის იმ ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ქვეყნის ან გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსი, იმისათვის რომ მათ შესძლონ ამ შეთანხმების პირობების შესრულება.

5. ამ შეთანხმების განსახორციელებლად შეთანხმების სამდივნო პერიოდულად

განიხილავს დამატებითი წყაროებით უზრუნველყოფის სხვა პოტენციურ მექანიზმებს, ფონდების და ტექნიკური დახმარების ჩათვლით, და მოახსენებს შედეგებს მხარეთა შეხვედრას.

მუხლი X
შესწორებები შეთანხმებაში

1. შესწორებები ამ შეთანხმებაზე შეიძლება გაკეთდეს მხარეთა შეხვედრის ნებისმიერ რიგით ან რიგგარეშე სესიაზე.

2. შესწორებების წინადადებები შეთანხმების ტექსტზე შეიძლება შეიტანოს ნებისმიერმა მხარემ. ნებისმიერი შემოთავაზებული შესწორების ტექსტი და აგრეთვე მიზეზი, რამაც გამოიწვია ამ შესწორების საჭიროება, უნდა წარედგინოს შეთანხმების სამდივნოს არანაკლებ 150 დღით ადრე სესიის დაწყებამდე. შეთანხმების სამდივნო გაუგზავნის ასლებს დანარჩენ მხარეებს. მხარეების მიერ გაკეთებული კომენტარი ამ ტექსტზე უნდა გაეგზავნოს შეთანხმების სამდივნოს არანაკლებ 60 დღით ადრე სესიის გახსნამდე. სამდივნო დაუყოვნებლივ აცნობებს მხარეებს ყველა კომენტარის შესახებ, რომლებიც მას ხელთ ექნება კომენტარების წარდგენისათვის განსაზღვრული ვადის ბოლო დღისათვის.

3. ნებისმიერი დამატებითი დანართი ან შესწორება შეთანხმებაზე, განსხვავებული შესწორებებისაგან მის დანართებზე, უნდა იქნას მიღებული დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე მხარეთა 2/3 უმრავლესობის მიერ და შევა ძალაში იმ მხარეებისათვის, რომლებმაც მიიღეს იგი. ამასთან ასეთი მხარეებისათვის იგი შევა ძალაში 30 დღის შემდეგ იმ თარიღიდან როდესაც შეთანხმების მხარეთა 2/3-მა მიიღო ეს დამატებითი დანართი ან შესწორება და წარუდგინა დეპოზიტარს მიღების დამადასტურებელი ინსტრუმენტები. იმ მხარისათვის, რომელიც წარუდგენს დეპოზიტარს მიღების დამადასტურებელ ინსტრუმენტს მას შემდეგ, რაც მხარეთა 2/3 –მა უკვე წარუდგინა დეპოზიტარს თავისი, დამატებითი დანართი ან შესწორება შევა ძალაში 30 დღის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც იგი წარუდგენს დეპოზიტარს მიღების დამადასტურებელ ინსტრუმენტს.

4. ნებისმიერი შესწორება შეთანხმების დანართზე მიღებულ უნდა იყოს დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე მხარეთა 2/3 უმრავლესობის მიერ და შევა ძალაში ყველა მხარისათვის 150 დღის შემდეგ მხარეთა შეხვედრაზე მათი მიღების თარიღიდან. გამონაკლისს წარმოადგენს ის მხარეები, რომლებმაც გააკეთეს განცხადება თავის შეკავების შესახებ ამ მუხლის & 5-ის შესაბამისად.

5. 150 დღის განმავლობაში, ამ მუხლის &4 პარაგრაფის თანახმად , ნებისმიერ მხარეს შეუძლია წარუდგინოს დეპოზიტარს წერილობითი შეტყობინება თავის შეკავების შესახებ ამ შეთანხმების დანართზე შესწორების თაობაზე. ასეთი განცხადება შეიძლება გაუქმებულ იქნას ასევე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, რომელიც უნდა გაეგზავნოს დეპოზიტარს, და ამის შედეგად ეს შესწორება ამ მხარისათვის ძალაში შევა 30 დღის შემდეგ ამ უკანასკნელის წარდგენის დღიდან.

მუხლი XI
შეთანხმების ზეგავლენა კანონმდებლობაზე
და საერთაშორისო კონვენციებზე

1. ამ შეთანხმების პირობები არ მოახდენს ზეგავლენას მხარის უფლებაზე მიიღოს უფრო მკაცრი ზომები ვეშაპისებრთა და მათი ჰაბიტატების დაცვისათვის, არც მის უფლებებზე ან ვალდებულებებზე, რომლებიც გამომდინარეობს არსებული ხელშეკრულებებიდან, შეთანხმებებიდან ან კონვენციებიდან, რომელთათვისაც იგი მხარეს წარმოადგენს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს უფლებები ან ვალდებულებები შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საფრთხე ვეშაპისებრთა დაცვისათვის.

2. მხარეები განახორციელებენ ამ შეთანხმებას იმ უფლებებსა და მოვალეობებთან შეთანხმებაში, რომლებიც მათ დაკისრებული აქვთ საზღვაო კანონიდან გამომდინარე.

მუხლი XII
სადავო საკითხების მოგვარება

1. დისპუტი ნებისმიერ საკითხზე, რომელიც წამოიჭრება ორ ან მეტ მხარეს შორის შეთანხმების პირობების სხვადასხვა შესაძლო ინტერპრეტაციის ან მისი დებულებების თაობაზე, იქნება დისპუტში ჩართული მხარეების მოლაპარკების საგანი. თუ „კამათში ჩართული მხარეები არ იქნებიან წინააღმდეგი სადაო საკითხის გადაწყვეტაში მათ შეიძლება დაეხმაროს მესამე მხარე.

2. თუ სადავო საკითხის გადაჭრა არ მოხერხდება ამ მუხლის &1 თანახმად, მხარეებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ წარუდგინონ სადავო საკითხი არბიტრაჟს, ან სასამართლოს მხარეები, რომლებიც წარადგენენ საკამათო საკითხს, უნდა დაემორჩილონ არბიტრაჟის ან სასამართლოს გადაწყვეტილებას.

მუხლი XIII
ხელმოწერა, რატიფიკაცია, მიღება, დამტკიცება ან მიერთება

1. ეს შეთანხმება ღია იქნება ხელმოსაწერად სამიგრაციო არეალის ყველა ქვეყნისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფება თუ არა მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორია შეთანხმების არეში, ან რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციული ორგანიზაციისათვის, რომლის ერთი წევრი მაინც წარმოადგენს სამიგრაციო არეალის ქვეყანას, ან:

ა) ხელმოსაწერად რატიფიკაციაზე, მიღებაზე ან დამტკიცებაზე თავის შეკავების შესახებ შეტყობინების გარეშე; ან

ბ) ხელმოსაწერად რატიფიკაციაზე, მიღებაზე ან დამტკიცებაზე, რომელსაც მოყვება რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება, თავის შეკავების შესახებ შეტყობინების გარეშე.

2. ეს შეთანხმება ღია რჩება ხელმოსაწერად მონაკოში მისი ძალაში შესვლის დღემდე.

3. ეს შეთანხმება იქნება ღია მისაერთებლად ნებისმიერი სამიგრაციო არეალის ქვეყნისათვის ან რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციული ორგანიზაციისათვის ზემოთ მოყვანილი &1-ს თანახმად ამ შეთანხმების ძალაში შესვლის დღეს და შემდგომ.

4. რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან თანხმობის ინსტრუმენტები უნდა იქნას მიწოდებული დეპოზიტარს.

მუხლი XIV
ძალაში შესვლა

1. ეს შეთანხმება შევა ძალაში მესამე თვის პირველი დღიდან, მას შემდეგ, რაც შეთანხმების არეში შესული არანაკლებ 7 სანაპირო ქვეყნისა ან რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციული ორგანიზაციის არანაკლებ 2 წევრისა შავი ზღვის სუბრეგიონიდან და არანაკლებ 5 წევრისა ხმელთაშუა ზღვის სუბრეგიონიდან და ატლანტიკის მიმდებარე ტერიტორიიდან, მოაწერენ მას ხელს რატიფიკაციაზე, მიღებაზე ან დამტკიცებაზე დეპოზიტართან თავის შეკავების შესახებ შეტყობინების წარდგენის გარეშე, ან წარუდგენენ დეპოზიტარს რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დამადასტურებელ ინსტრუმენტებს ამ შეთანხმების XIII მუხლის თანახმად.

2. სამიგრაციო არეალის ნებისმიერი ქვეყნისათვის ან რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციული ორგანიზაციისათვის, რომელმაც:

ა) მოაწერა ხელი რატიფიკაციაზე, მიღებაზე ან დამტკიცებაზე თავის შეკავების შეტყობინების გარეშე;

ბ) მოახდინა რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება;

გ) მიუერთდა

ამ შეთანხმებას იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ძალაში შესასვლელად საკმარისი რაოდენობის სამიგრაციო არეალის ქვეყანამ და რეგიონალურმა ეკონომიკურმა ინტეგრაციულმა ორგანიზაციამ ხელი მოაწერა ამ შეთანხმებას თავის შეკავების შესახებ შეტყობინების გარეშე, ან მოახდინა მისი რატიფიცირება, მიიღო იგი ან დაამტკიცა, ეს შეთანხმება შევა ძალაში მესამე თვის პირველი დღიდან მას შემდეგ, რაც ხელს მოაწერს თავის შეკავების შესახებ შეტყობინების გარეშე ან წარუდგენს დეპოზიტარს ქვეყნის ან ორგანიზაციის სახელით რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების , ან მიერთების დამადასტურებელ ინსტრუმენტებს.

მუხლი XV
დათქმები

ამ შეთანხმების პირობები არ ექვემდებარება ზოგად დათქმებს. თუმცა, სპეციალური ხასიათის დათქმები შესაძლებელია გაკეთდეს რომელიმე ქვეყნის ან რეგიონალური

ეკონომიური ინტეგრაციული ორგანიზაციის მიერ მისი შიდა წყლების სპეციფიკურად განსაზღვრული ნაწილის თაობაზე, ხელმოწერით რატიფიცირებაზე, მიღებაზე ან დამტკიცებაზე დათქმების გაკეთების გარეშე, ან, კერძო შემთხვევაში, რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების, ან მიერთების დამადასტურებელი სიგელების წარდგენით დეპოზიტართან. ასეთი დათქმა შეიძლება იქნას გაუქმებული ნებისმიერ დროს ქვეყნის ან რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციული – ორგანიზაციის მიერ, რომელმაც იგი გააკეთა, დეპოზიტართან წერილობითი შეტყობინების გზით, ასეთი ქვეყანა ან ორგანიზაცია არ იქნება ვალდებული შეასრულოს შეთანხმების პირობები იმ წყლებში, რომლებიც წარმოადგენენ თავის შეკავების შეტყობინების ობიექტს, სანამ არ გაივლის 30 დღე ამ დათქმის ანულირებიდან.

მუხლი XVI
გაუქმება (დენონსირება)

ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია დენონსაცია გაუკეთოს ამ შეთანხმებას ნებისმიერ დროს დეპოზიტართან წერილობითი შეტყობინების წარდგენით. დენონსაცია მოხდება დეპოზიტარის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან 12 თვის შემდეგ.

მუხლი XVII
დეპოზიტარი

1. ამ შეთანხმების ორიგინალი არაბულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, რომლებიც თანაბრად აუთენტურია, უნდა იქნას დეპოზიტირებული მონაკოს მთავრობასთან, რომელიც წარმოადგენს დეპოზიტარს. დეპოზიტარი წარუდგენს შეთანხმების დამოწმებულ ასლებს ყველა ქვეყანას და რეგიონალურ ეკონომიკურ ინტეგრალურ ორგანიზაციას, ამ შეთანხმების XIII მუხლის &1-ის თანახმად, და შეთანხმების სამდივნოს მისი დაფუძნების შემდეგ.

2. როგორც კი ეს შეთანხმება შევა ძალაში, დეპოზიტარი გაუგზავნის დამოწმებულ ასლს გაერო-ს სამდივნოს რეგისტრაციისათვის და პუბლიკაციისათვის გაერო-ს წესდების 102 მუხლის თანახმად.

3. დეპოზიტარი შეატყობინებს შეთანხმების სამდივნოს და ყველა ქვეყანას და რეგიონალურ ეკონომიკურ ინტეგრაციულ ორგანიზაციას, რომელმაც ხელი მოაწერა ან მიუერთდა შეთანხმებას, შემდეგის შესახებ:

ა) ნებისმიერი ხელმოწერის;

ბ) რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების, ან მიერთების ინსტრუმენტის ნებისმიერი დეპოზიტის შესახებ;

გ) ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღის შესახებ და ყველა დამატებითი დანართების, აგრეთვე შეთანხმებაზე ან მის დანართებზე ყველა შესწორებების შესახებ;

დ) ყველა დათქმა, რომელიც ეხება დამატებით დანართებს, ან დანართების შესწორებებს;

ე) ნებისმიერი შეტყობინება დათქმის გაუქმების თაობაზე;

ვ) ნებისმიერი შეტყობინება წინამდებარე შეთანხმების დენონსაციის თაობაზე.

დეპოზიტარი წარუდგენს შეთანხმების სამდივნოს და ყველა ქვეყანას და რეგიონალურ ეკონომიკურ ინტეგრაციულ ორგანიზაციას, რომელმაც მოაწერა ხელი ან მიუერთდა ამ შეთანხმებას. თავის შეკავების შესახებ ყველა შეტყობინების, ყველა დამატებით დანართის და, შეთანხმებაზე ან მის დანართებზე შესწორებების ტექსტს.

დანართი 1
შავი ზღვის ვეშაპისებრთა სია რომლებზეც ვრცელდება შეთანხმება

PHOCOENIDAE	ზღვის ღორი
Phocoena Phocoena	
DELPHINIDAE	
Tursiops truncatus	აფალინა
Delphinus delphis	ჩვეულებრივი დელფინი

ხმელთაშუა ზღვის და მიმდებარე ატლანტიკის ვეშაპისებრთა სია რომლებზეც ვრცელდება შეთანხმება

PHOCOENIDAE	ზღვის ღორი
Phocoena Phocoena	
DELPHINIDAE	
Steno bredanensis	ბლაგვკბილა დელფინი
Grampus griseus	რისოს დელფინი
Tursiops truncatus	აფალინა
Stenella coeruleoalba	ზოლიანი დელფინი
Delphinus delphis	ჩვეულებრივი დელფინი
Pseudorca crassidens	მცირე კოსატკა
Orcinus orca	კოსატკა
Globicephala melas	მრგვალთავიანი ვეშაპი
ZIPHIDAE	
Mezoplodon densirostris	blanvilis სარტყელკბილა

Ziphius cavirostris	cuviers დინგნისკარტა
PHYSETERIDAE	
Physeter macrocephalus	სპერმაცევტული ვეშაპი (კაშალოტი)
KOGIDAE	ჯუჯა სპერმაცევტული
Kogia simus	ვეშაპი (ჯუჯა კაშალოტი)
BALAENIDAE	
Eubalaena glacialis	ჩრდილოეთის ვეშაპი
BALAENOPTERIDAE	
Balaenoptera acutorostrata	მინკვალი
Balaenoptera borealis	სეივალი
Balaenoptera physalus	ფინვალი
Megaptera novaeangliae	კუზიანი ვეშაპი

წინამდებარე შეთანხმება აგრეთვე ეხება ყველა დანარჩენ ვეშაპისებრს, რომლებიც არ არიან შეტანილი ამ დანართში, მაგრამ რომლებიც შემთხვევით ან გარკვეული სიხშირით შეიძლება გვხვდებოდნენ ამ შეთანხმების არეალში.

დანართი 2

დაცვის გეგმა

ვეშაპისებრთა დაცვის მიზნით მხარეები თავიანთი ეკონომიკური, ტექნიკური, და მეცნიერული შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად შეეცდებიან განახორციელონ შემდეგი ზომები, ამასთან პრიორიტეტს მიანიჭებენ იმ სახეობათა და პოპულაციების დაცვას, რომლებსაც სამეცნიერო კომიტეტი მიანიჭებს უკიდურესად არასასურველ საკონსერვაციო სტატუსს, და ანხორციელებს კვლევით სამუშაოებს იმ არეში, ან იმ სახეობისათვის. რომელთათვისაც არსებული მონაცემები ჩაითვლება არასაკმარისად.

1. ეროვნული კანონმდებლობის მიღება და ძალაში გატარება

ამ შეთანხმების მხარეები მიიღებენ სათანადო აუცილებელ კანონმდებლობას, ყველა საჭირო სარეგულაციო ან ადმინისტრაციულ ზომას, რათა უზრუნველყონ ვეშაპისებრთა სრული დაცვა ყველა წყლები, სადაც ვრცელდება მათი სუვერენიტეტი და/ან იურისდიქცია და მათ ფარგლებს გარეთაც, თუ მათი ხომალდები, ან ხომალდები, რეგისტრირებული მათ ტერიტორიაზე, ჩართული არიან ისეთ საქმიანობაში, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ვეშაპისებრთა დაცვაზე. ამ მიზნის მისაღწევად, მხარეები:

ა) შეიმუშავებენ და განახორციელებენ ზომებს ვეშაპისებრთა საკონსერვაციო

სტატუსზე თევზჭერის არასასურველი ზეგავლენის შესამცირებლად. კერძოდ, არცერთ ხომალდს არ ექნება უფლება იქონიოს ან გამოიყენოს თევზჭერისათვის დრიფტული ბადეები, რომელთა ინდივიდუალური ან მთლიანი ზომა 2,5 კმ-ზე მეტია;

ბ) შეიმუშავებენ ინსტრუქციებს ან შეიტანენ შესწორებას არსებულ ინსტრუქციაში, რომლებიც აკრძალავენ თევზსაჭერი აღჭურვილობის გადაგდებას ან დატოვებას მოტივტივედ ზღვაში, და მოითხოვენ თევზსაჭერ აღჭურვილობაში შემთხვევით მოხვედრილ ვეშაპისებრთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას ვეშაპისებრთათვის უვნებელი გზით.

გ) მოითხოვენ მავნე ზეგავლენის შეფასების ჩატარებას, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს საფუძველი იმ ქმედებათა მომავალი გახანგრძლივებისათვის ან აკრძალვისათვის, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ამ შეთანხმების არეში მყოფ ვეშაპისებრებზე და მათ ჰაბიტატებზე, იქნება ეს მეთევზეობა, ზღვაში ჩასატარებელი გამოკვლევები და რეწვა, საზღვაოსნო სპორტი, ტურიზმი თუ ვეშაპისებრთა სანახავი ტურები, აგრეთვე იმ პირობების დასადგენად, რომელთა შესრულებაც აუცილებელი იქნება ამ მოქმედებათა განსახორციელებლად;

დ) აწარმოებს ზღვაში ჩადინების რეგულაციას, და მიიღებს უფრო მკაცრ სტანდარტებს, შესაბამისი იურიდიული ინსტიტუტების ჩარჩოებში, ვეშაპისებრებზე არასასურველი ზეგავლენის მქონე დამბინძურებლებისათვის;

ე) შეეცდება გააძლიეროს ან შექმნას სახელმწიფო ინსტიტუტები ამ შეთანხმების განხორციელებისათვის; და

2. ადამიანისა და ვეშაპისებრთა ურთიერთქმედების შეფასება და მენეჯმენტი

მხარეები, შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, შეაგროვებენ და ანალიზს გაუკეთებენ ადამიანისა და ვეშაპისებრთა პირდაპირ და არაპირდაპირ ურთიერთქმედებას, თევზჭერის, ინდუსტრიის და ტურიზმის, და სანაპიროს და ზღვის წყლის დაბინძურების ჩათვლით. თუ საჭირო იქნება, მხარეები მიიღებენ შესაბამის დამხმარე ზომებს და შეიმუშავებს ინსტრუქციებს და/ან კოდექსს, ასეთი მოქმედებების მართვისა ან რეგულირებისათვის.

3. ჰაბიტატების დაცვა

მხარეები ეცდებიან დაარსონ და მართონ ვეშაპისებრთა სპეციალური დაცული ტერიტორიები, რომლებიც შეესაბამება ვეშაპისებრთა ბუნებრივ ჰაბიტატებს და ან სადაც ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან საკვები რესურსებით. ასეთი სპეციალური დაცული ტერიტორიები უნდა შეიქმნას ხმელთაშუა ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის, 1976, და მისი შესაბამისი პროტოკოლის ფარგლებში ან სხვა შესაბამისი ინსტრუმენტების ფარგლებში.

4. კვლევა და მონიტორინგი

მხარეები აწარმოებენ ვეშაპისებრთა კოორდინირებულ, მიზანმიმართულ კვლევას და ხელს შეუწყობენ ახალი ტექნოლოგიების შემუშავებას მათი დაცვის გასაძლიერებლად. მხარეები, კერძოდ:

ა) აწარმოებენ ამ შეთანხმების არეში შესულ სახეობათა სტატუსის და ტენდენციების მონიტორინგს, განსაკუთრებით ნაკლებად შესწავლილ არეებში, ან იმ სახეობათა სტატუსისა და ტენდენციების მონიტორინგს, რომლებზეც მონაცემები ნაკლებადაა ცნობილი, დაცვითი ზომების შემუშავების ხელშეწყობის მიზნით;

ბ) ითანამშრომლებენ ამ შეთანხმების არეში შესული სახეობების სამიგრაციო გზების და მათი საკვები და მშობიარობის ადგილების დადგენაში, იმისათვის, რომ განსაზღვრული იქნას არეები, სადაც შეიძლება საჭირო იყოს ადამიანის მოქმედებების რეგულირება;

გ) შეაფასებენ შეთანხმებაში შესული სახეობების კვებით საჭიროებებს და შეუთანხმებენ მათ თევზჭერის რეგულირებასა და ტექნოლოგიას;

დ) დაამუშავებენ სისტემატურ კვლევით პროგრამებს მკვდარი, გასაჭირში მყოფი, დაჭრილი და ავადმყოფი ცხოველებისათვის, იმ მიზნით რომ დაზუსტდეს ადამიანის მოქმედებათა ზეგავლენის მოცულობა და დადგენილი იქნას აწმყო და მომავალი საშიშროება; და

ე) ხელს შეუწყობენ ვეშაპისებრთა პოპულაციის მონიტორინგისათვის პასიური აკუსტიკური ტექნიკის შემუშავებას.

5. შესაძლებლობების გაძლიერება, ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება, ტრენინგი და განათლება.

მიიღებენ რა მხედველობაში სამიგრაციო არეალის ქვეყნების განვითარების სხვადასხვა სტადიასა და საჭიროებებს, მხარეები პრიორიტეტს მიანიჭებენ შესაძლებლობების გაძლიერებას იმისათვის, რომ შემუშავებულ იქნას აუცილებელი ექსპერტიზა, საჭირო ამ შეთანხმების, განსახორციელებლად. მხარეები ითანამშრომლებენ ვეშაპისებრთა შესახებ ინფორმაციის შეგროვების და გავრცელების საერთო მეთოდების შემუშავებაში და ტრენინგების კურსების და საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზებაში. ასეთი ქმედებები უნდა განხორციელდეს შეთანხმებულად სუბრეგიონალურ და თვითონ შეთანხმების დონეზე, შეთანხმების სამდივნოს, საკოორდინაციო ერთეულების და მრჩეველთა კომიტეტის მხარდაჭერით და განხორციელდეს შესაბამის საერთაშორისო ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მხარისათვის. კერძოდ, მხარეები ითანამშრომლებენ:

ა) ვეშაპისებრებზე დაკვირვების, მათი შემთხვევით ჭრის, რაიმე გაჭირვების, ეპიზოოტიური და სხვა მოვლენების შესახებ მონაცემების შეგროვების სისტემის

შექმნის მიზნით;

ბ) ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების, კვლევითი და დაცვითი ცენტრების, სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამონათვალის მომზადებაში, რომლებსაც ეხებათ ვეშაპისებრთა დაცვა;

გ) ცნობარის მომზადებაში, რომელშიც შევა არსებული დაცული ან მართვადი ტერიტორიები, რომლებიც, შესაძლებელია, სარგებელს მოუტანს ვეშაპისებრთა კონსერვაციას და იმ საზღვაო ტერიტორიებს, რომელთაც აქვთ პოტენციური მნიშვნელობა ვეშაპისებრთა კონსერვაციისათვის;

დ) ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის ცნობარის მომზადებაში, რომელშიც შევა ვეშაპისებრებთან დაკავშირებული საკითხები;

ე) საჭიროებისამებრ, რეგიონალური და სუბრეგიონალური მონაცემების ბანკის შექმნაში, სადაც შეინახება ინფორმაცია, შეგროვებული ზემოთმოყვანილი ა) და ბ) პარაგრაფების თანახმად;

ვ) სუბრეგიონალური და რეგიონალურ საინფორმაციო ბიულეტენების მომზადებაში, სადაც შევა ინფორმაცია ვეშაპისებრთა დაცვისათვის გაწეული საქმიანობის შესახებ, ან იგივე მიზნებისათვის გარკვეული დახმარების გაწევაში;

ზ) ინფორმაციის და სარკვევების მომზადებაში ზღვის მომხმარებელთათვის გასავრცელებლად;

თ) რეგიონალური ცოდნის საფუძველზე ვეტერინარული რეკომენდაციების შემუშავებაში ვეშაპისებრთა გადარჩენისათვის; და

ი) კონსერვაციის, კერძოდ დაკვირვების, განთავისუფლების, ტრანსპორტირების და პირველადი დახმარების და საგანგებო ვითარებებში საჭირო ტექნიკის შემუშავებაში და დანერგვაში ტრენინგების პროგრამების საშუალებით.

1. საგანგებო სიტუაციებზე საპასუხო ქმედებები

მხარეები, ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, და რამდენადაც საჭირო იქნება და შესაძლებელი, შეიმუშავებენ და განახორციელებენ საგანგებო ზომებს ამ შეთანხმებაში შესული ვეშაპისებრთა სახეობებისთვის, განსაკუთრებულად არსასურველი ან სახიფათო როდესაც პირობების შექმნისას. კერძოდ, მხარეები:

ა) შეთანხმების არეში შესულ ვეშაპისებრთა დაცვისა და გადარჩენისათვის კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად მოამზადებენ გეგმას საგანგებო სიტუაციებისათვის, როგორიცაა მნიშვნელოვანი დაბინძურება, მნიშვნელოვანი გაჭირვება ან ეპიზოოტიები; და

ბ) შეაფასებენ ვეშაპისებრთა დაჭრილი ან ავადმყოფი ინდივიდების გადარჩენის

შესაძლებლობებს.

გ) მოამზადებენ კოდექსს ამ საქმიანობაში ჩართული ლაბორატორიების და ცენტრების ფუნქციების მართვის განსახორციელებლად.

საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში, როდესაც სასწრაფოდ იქნება მისაღები საპასუხო ზომები, რათა თავიდან იქნას აუცილებელი ვეშაპისებრთა ერთი ან მეტი პოპულაციისათვის დაცვითი სტატუსის დაკნინება, მხარეს შეუძლია მიმართოს შესაბამის საკოორდინაციო ერთეულს მოთხოვნით, რომ საკოორდინაციო საბჭომ ურჩიოს დანარჩენ დაინტერესებულ მხარეებს, შეიმუშავონ და დანერგონ მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება იმ პოპულაციების დაცვა, რომლებიც იდენტიფიცირებული იქნება, როგორც ასეთი კერძო საფრთხის წინაშე მდგომი.

ამის დასადასტურებლად, სათანადო უფლებებით აღჭურვამ ქვემორე ხელის მომწერებმა, მოაწერეს ხელი.

შესრულდა ……..…… რიცხვი …… თვე 1996 წ.

ქვეყნები, რომლებმაც მოაწერეს ხელი:

1. ალბანეთი
2. ხორვატია
3. კვიპროსი
4. ევროგაერთიანება
5. საფრანგეთი
6. საქართველო
7. საბერძნეთი
8. ისრაელი
9. იტალია
10. მონაკო
11. მაროკო
12. პორტუგალია
13. რუმინეთი
14. ესპანეთი
15. ტუნისი
16. უკრაინა

დანართი

შავი ზღვის ვეშაპისებრნი, რომლებზეც ვრცელდება ეს შეთანხმება

ზღვის ღორი
თეთრგვერდა დელფინი
აფალინა

ხმელთაშუა ზღვის (და ატლანტიკის მიმდებარე წყლების) ვეშაპისებრნი, რომლებზეც ვრცელდება ეს შეთანხმება

ზღვის ღორი
დიდკბილა დელფინი
რუხი დელფინი
აფალინა
ზოლებიანი პროდელფინი
თეთრგვერდა დელფინი
მცირე კოსატკა
კოსატკა
ჩვეულებრივი გრინდა
ბლაგვცხვირა სარტყელკბილა
ნამდვილი დინგნისკარტა
კაშალოტი
ჯუჯა კაშალოტი
სამხრეთის ვეშაპი
მცირე ზოლიანი ვეშაპი
სეივალი
ფინვალი
კუზიანი ვეშაპი

წინამდებარე შეთანხმება აგრეთვე გავრცელდება სხვა ვეშაპისებრებზე, რომლებიც არ არის შეტანილი ამ დანართში მაგრამ, შემთხვევით მოხვდებიან ამ არეში.